



საქართველოსა და ევროკავშირს შორის
დადებული ასოცირების შეთანხმების
შესრულების გამოწვევები
2017-2020 წლები

გარემოს დაცვა და კლიმატი

ნოემბერი, 2021



ანგარიში გამოცემულია „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშიში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ პოზიციის ამსახველად.



მწვანე ალტერნატივა

ავტორი: მანანა ქოჩლაძე

© მწვანე ალტერნატივა, 2021

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74;
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG

მოკლე მიმოხილვა

გარემოს დეგრადაცია და კლიმატის ცვლილება მსოფლიოში ერთ-ერთი მთავარი საფრთხე და გამოწვევაა. გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილებისადმი მედეგობა წლების განმავლობაში, ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა და წარმოადგენს, როგორც სამინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. ის ფართოდაა ასახული როგორც მეზობელ ქვეყნებთან გაფორმებულ ასოცირების შეთანხმებებსა და დღის წესრიგებში, ისე სხვადასხვა ინიციატივაში (აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობის ინიციატივა და სხვ.).

2020 წელს, ევროკავშირმა ოფიციალურად აიღო კურსი [“ევროპის მწვანე შეთანხმების”](#) განხორციელებისკენ. შედეგად, 2050 წლისთვის, ევროპის კონტინენტი ნახშირბად ნეიტრალური უნდა გახდეს. „ევროპის მწვანე შეთანხმება“ ეყრდნობა ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის, კარგი გარემოსდაცვითი მმართველობის, მწვანე ცირკულარული ეკონომიკის, მდგრადი ენერჯეტიკის, მრეწველობისა და მობილობის ენერჯო- და რესურს ეფექტურობას, ბიომრავალფეროვნების დაცვასა და სხვა კომპონენტებს. ამასთან, ის მიზნად ისახავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში მნიშვნელოვან ცვლილებებს, მდგრადობის, წარმოების, ვაჭრობისა და მოხმარების ახალი მოდელების დამკვიდრებით, კლიმატურად ნეიტრალურ საზოგადოებად გარდაქმნისთვის.

„ევროპის მწვანე შეთანხმებას“ მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება სამეზობლოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობებზე, ვინაიდან ის მოიაზრებს ეკონომიკური სისტემების სრულ ტრანსფორმაციას როგორც ევროკავშირში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

საქართველოში გარემოს დაცვა და კლიმატთან დაკავშირებული საკითხები პრიორიტეტად არ განიხილება. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური კურსი, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, სრულ ლიბერალიზაციას, ღერეგულაციას და რესურსების მაქსიმალურ ათვისებას ეყრდნობა. საქართველოში დამკვიდრებული განვითარების პარადიგმის თანახმად, გარემოს დაცვა და კლიმატისადმი მედეგობისთვის ღონისძიებების გატარება ფუფუნების საგანია და მხოლოდ სტაბილური ეკონომიკური განვითარების მიღწევის შემდგომ უნდა დაიწყოს.

ეს ტენდენცია, გარკვეულწილად, შეაჩერა 2014 წელს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - შეთანხმება) ხელმოწერამ. დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის მაქსიმალურ დაახლოებას ევროკავშირის მოთხოვნებსა და სტანდარტებთან, მათ შორის, გარემოს დაცვისა და კლიმატის ნაწილში. შესაბამისად, 2018-2021 წლებში საქართველოს მთავრობა იძულებული იყო მიეღო მთელი რიგი გარემოსდაცვითი კანონები, თუმცა, ეს გაკეთდა განვითარების პარადიგმის ცვლილების გარეშე. შედეგად, დღესაც, სამწუხაროდ, გვაქვს არაეფექტური გარემოსდაცვითი მმართველობის სისტემა, რომელიც არაა ინტეგრირებული ეკონომიკისა თუ სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში.

სამწუხაროდ, ქვეყანაში არ მიმდინარეობს დისკუსია თუ რა ზემოქმედება შეიძლება იქონიოს ევროკავშირის მწვანე შეთანხმების განხორციელებამ საქართველოს ეკონომიკაზე, საგარეო ვაჭრობაზე ევროკავშირთან და ა.შ. ისევე, როგორც არ ხერხდება იმის გააზრება, რა როლი შეიძლება ითამაშოს ამ პოლიტიკის განხორციელებამ საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე.

აღსანიშნავია, რომ გარემოს დეგრადაციას და კლიმატის ცვლილებას უკვე საკმაოდ დიდი უარყოფითი ზემოქმედება აქვს ქვეყანის მოსახლეობაზე და ეკონომიკაზე. [ქანმრთელობისა და დაბინძურების გლობალური აღიანსის](#) 2019 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოში, 100 000 სულ მოსახლეზე ჰაერის დაბინძურებისგან გამოწვეული ავადობების გამო ყოველწლიურად 140 ადამიანის ნაადრევი გარდაცვალება ფიქსირდება. ეს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 49%-ს აქვს ხელმისაწვდომობა თანამედროვე სანიტარულ სერვისებზე, ხოლო მოსახლეობის 1.6%-ს საერთოდ არ აქვს ხელმისაწვდომობა უსაფრთხო წყალმომარაგებაზე.

2020 წელს მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ანგარიში [„საქართველო: გზა მწვანე და მდგრად განვითარებისკენ“](#). ანგარიშში განხილულია, როგორც მწვანე და მდგრად განვითარებაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს პოტენციალი, აგრეთვე შეფასებულია გარემოსდაცვითი დეგრადაციის ხარჯები და დანაკარგები. დოკუმენტის თანახმად 2018 წლის ჰაერის და ტყვიით დაბინძურების, ტყეების გამეჩხერების და სასოფლო სამეურნეო მიწების დეგრადაციის, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების ხარჯებმა ერთობლივად 2018 წლის მშპ-ს 15% შეადგინა.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის შემოფოთება გარემოს დეგრადაციასთან დაკავშირებით. ამას ადასტურებს როგორც ქვეყნის მასშტაბით გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივების რაოდენობის ზრდა, ასევე, საზოგადოებრივი აზრის კვლევები. მაგალითად, [NDI-ის 2019 წლის კვლევის](#) მიხედვით, „საქართველოში ყველაზე მწვავე ეკოლოგიურ პრობლემად ჰაერის დაბინძურება მიაჩნიათ“. კვლევის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით ჰაერის დაბინძურებას ყველაზე მწვავე პრობლემად 57% ასახელებს, ხოლო თბილისის მასშტაბით ეს მაჩვენებელი იზრდება და 76%-ს აღწევს. საინტერესოა, რომ სხვა კვლევის თანახმად, [მოსახლეობის 91.3%](#) თვლის, რომ კლიმატის ცვლილება რეალური მოვლენაა და წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, სიღარიბესა და გადამღებ დაავადებათა შემდეგ, რომელსაც უნდა გაუმკლავდეს კაცობრიობა.

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის განვითარების სამომავლო გეგმები, მათ შორის 2030 წლის განვითარების გეგმები უნდა დაეფუძნოს ევროკავშირის კანონმდებლობისა და მწვანე შეთანხმების პრინციპებს. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება, რომ გეგმამ უპასუხოს ზემოთ ნახსენებ გამოწვევებს, აგრეთვე COVID 19 პანდემიის შედეგებს და საფუძველი ჩაუყაროს ქვეყნის მდგრად განვითარებას. ევროპის მწვანე შეთანხმება ასოცირების შეთანხმებასთან ერთად ქმნის ახალ შესაძლებლობებს საქართველოსთვის, ფინანსურ რესურსების ხელმისაწვდომობით მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, აგრეთვე ევროინტეგრაციის გაღრმავებისთვის.

ამ ანგარიშის მიზანია, შეფასდეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგით (2017-2020) აღებული ვალდებულებების შესრულება გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სექტორში. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ის გამოწვევები, რომელთაც ქვეყანა შესაძლოა წააწყდეს ევროინტეგრაციისა და ევროპის მწვანე შეთანხმების შესრულების გზაზე.

მეთოდოლოგია

ანგარიში შედგება ორი ძირითადი თავისგან. პირველი თავში გაანალიზებულია ქვეყანაში არსებული ძირითადი გამოწვევები საქართველო- ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგით (2017-2020) აღებული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების გამოწვევები არსებულ-ი გარემოსდაცვითი მმართველობის ფონზე.

მეორე თავში წარმოდგენილია ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგით გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სექტორი არსებული პრიორიტეტები და მათი შესრულების შედეგები. თითოეული პრიორიტეტის შესრულების შეფასება ეყრდნობა საქართველოს მთავრობის ასოცირების ხელშეკრულებისა და დღის წესრიგის განხორციელებისთვის 2018-2020 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში გაწერილ ინდიკატორებს. წარმოდგენილ თავში ასოცირების დღის წესრიგის პრიორიტეტები პირდაპირ არის ციტირებული. თითოეული პრიორიტეტის შემთხვევაში შეფასებულია მისი განხორციელების ხარისხი – **განხორციელდა, ნაწილობრივ განხორციელდა, არ განხორციელებულა**. აგრეთვე მოცემულია დეტალური ინფორმაცია კონკრეტული ქმედებების შესრულება-არ შესრულების შესახებ.

თავი 1. ძირითადი გამოწვევები საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების შესრულებისას გარემოს დაცვისა და კლიმატის სექტორში

1.1 ასოცირების შეთანხმების ვალდებულებები და შესრულების მექანიზმები

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, განსაზღვრავს თანამშრომლობის მიზანს გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებზე. თანამშრომლობა მიზნად ისახავს „გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად (მუხლი 302)“, აგრეთვე „კლიმატის ცვლილების შერბილებისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისას (მუხლი 303)“.

მთავრობასთან კონსულტაციების გზით, ევროკავშირი აყალიბებს ასოცირების დღის წესრიგის დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ერთობლივი მუშაობის ახალ პრიორიტეტებს შემდგომი სამი წლის განმავლობაში. ბოლო, 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის თანახმად, საქართველოს მთავრობამ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად უნდა განახორციელოს სხვადასხვა გადაუდებელი რეფორმა, მათ შორის, გარემოს დაცვისა და კლიმატის სექტორში.

2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი „ერთმანეთისაგან განასხვავებს მოკლევადიან პრიორიტეტებსა (რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას, ან მათი შესრულების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი უნდა ყოფილიყო 2018 წლის ბოლოს) და საშუალო ვადიან პრიორიტეტებს (რომლებიც მიღწეული უნდა ყოფილიყო 2020 წლის დასასრულისთვის).“

საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების სამოქმედო გეგმები მოიცავს იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რაც აუცილებელია ასოცირების დღის წესრიგისა და შეთანხმების შესრულებისთვის. საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი ყველა ის ვალდებულება, რაც უზრუნველყოფდა 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგისა და შეთანხმების შესრულებას.

თავის მხრივ, საქართველოს მთავრობა სექტორულ სამინისტროებზე დაყრდნობით ამტკიცებს როგორც ყოველწლიურ ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის განხორციელების ეროვნულ სამოქმედო გეგმებს, ასევე ამ გეგმების შესრულების ანგარიშებს. 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმების და ანგარიშების ანალიზმა გვაჩვენა, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წლიური გეგმების შესრულება საკმაოდ პრობლემური იყო, რასაც მთელი რიგი მიზეზები აქვს.

1.2 არაეფექტური ინსტიტუციური მოწყობა და მართვა

2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამის „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ ფარგლებში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო შეუერთდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს. განცხადებული იყო, რომ სამთავრობო უწყებების გაერთიანება კადრების ოპტიმიზაციას მოახდენდა და ბიუროკრატიაზე გაწეული ხარჯებს შეამცირებდა. რესურსების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, რეფორმას არ ჰქონია არანაირი ხელშესახები შედეგი. ხოლო ფუნქციურად ამ შეერთებამ კიდევ უფრო დაასუსტა ისედაც სუსტი გარემოსდაცვითი მმართველობის მოდელი, რომელმაც არ გაითვალისწინა არც ინტერესთა კონფლიქტი არსებულ სამინისტროებს შორის (სოფლის მეურნეობა გარემოს ერთ-ერთი მსხვილი დამაბინძურებელია), არც უკვე არსებულ მოდელში არსებული პრობლემები და

გამოწვევები. ზოგადად, შეერთება მოხდა საზოგადოებასთან და პარლამენტთან ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციების გარეშე.

როგორც მოსალოდნელი იყო, რეფორმას არ მოუტანია არანაირი ხელშესახები დადებითი შედეგი გარემოს დაცვის პრობლემების გადასაჭრელად ქვეყანაში. უფრო მეტიც საზოგადოებაში გაჩნდა შეგრძნება, რომ მთავრობა საჭიროზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს გარემოს დაცვას. ამავდროულად, გაიზარდა წუხილი იმაზე, თუ როგორ ასრულებს სამინისტრო თავის ფუნქციებს და როგორი გარემოს დაცვის პოლიტიკა აქვს. [NDI საზოგადოებრივი აზრის კვლევის](#) თანახმად, „გარემოს დაცვის კუთხით ნეგატიური შეფასება პოლიტიკის დაუყოვნებლივ ცვლილებასა და ყურადღებას მოითხოვს. მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ამ სფეროსთვის გამოყოფილი რესურსების შემცირება, განსაკუთრებით კი გარემოს დაცვის სამინისტროს შეზღუდული სტატუსის გათვალისწინებით“.

ამ გამოწვევების საპასუხოდ, 2019 წლის მაისში შეიქმნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის გარემოსდაცვითი საკითხების განმხილველი სამდივნო, რომლის ხელმძღვანელადაც დაინიშნა გარემოსდაცვითი ომბუდსმენი. ეს პროცესი, ტრადიციულად, საზოგადოებრივი კონსულტაციების გარეშე წარიმართა. ომბუდსმენის კანდიდატურად შეირჩა ადამიანი, რომელიც არ იყო საქართველოს მოქალაქე და, ამასთან, ჰქონდა ინტერესები ბიზნეს სექტორში. პრაქტიკულად, ეს იყო ერთ ადამიანზე მორგებული თანამდებობა, რომელიც 2021 წლის თებერვალში გაუქმდა, მას შემდეგ რაც გარემოსდაცვითი ომბუდსმენი COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, თანამდებობიდან გადადგა.

ინსტიტუციური მოდელის რეფორმირებისას, მთავრობას არ შეუსწავლია სექტორის მართვამი არსებული პრობლემები, და არ უცდია სწორედ გადაენაწილებინა ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობას შორის აღრული ფუნქციები, უზრუნველყო ინტერესთა კონფლიქტების აღმოფხვრა, ადამიანური რესურსების გაძლიერება და ა.შ.

მთავრობა არ ცდილობს, შესწავლისა და გადაწყვეტილებების მიღების ეტაპზე ჩართოს ფართო საზოგადოება, დაეყრდნოს იმ გამოცდილებას და ნასწავლ გაკვეთილებს, რომელიც დაგროვდა არასამთავრობო თუ საკონსულტაციო სექტორში (დონორების მიერ განხორციელებული არაერთი პროექტისა თუ პროგრამის ფარგლებში), როგორც ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობის რეფორმირებისას, ისე კონკრეტული სამინისტროების შიგნით ფუნქციების განსაზღვრისა და გადანაწილებისას. მაგალითად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2018 წლიდან ცდილობს გაატაროს სტრუქტურული ცვლილებები, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებლობის თავიდან არიდებასა და ამ პასუხისმგებლობის გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის გადაბარებას გულისხმობს. საბოლოოდ, ეს ცვლილება ევროკავშირთან დაახლოების ხელშემშლელ ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ (დაწვრილებით, იხ. თავი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“).

1.3 ევროკავშირის კანონმდებლობასთან სამართლებრივი ეტაპობრივი დაახლოება - გამოწვევები

შეთანხმების XXVI და XXVII დანართების - „გარემოს დაცვა“ და „კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები“ - მიხედვით, საქართველომ აიღო ვალდებულება, განსაზღვრულ ვადებში და კონკრეტულ სფეროებში, ეტაპობრივად დაეახლოებინა კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან.

გარემოს დაცვისა და კლიმატის სექტორში, შეთანხმების ძალაში შესვლიდან (შეთანხმება ოფიციალურად ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისიდან) უმეტესად, პირველ ორ-სამ წელიწადში (გამონაკლის შემთხვევებში - ოთხ-ხუთ წელიწადში), მოთხოვნილი იყო კონკრეტული მიმართულებებით ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანოების განსაზღვრა. ხოლო შემდგომ ეტაპებზე ქვეყანას ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის კონკრეტულ დებულებებთან დაახლოებაზე უნდა ეზრუნა.

შეიძლება, თავიდანვე გვევარაუდა, რომ შეთანხმებით გაწერილი ყველა ვადის შესრულება და დაცვა, პროცესის სირთულიდან გამომდინარე, პრობლემური იქნებოდა. თუმცა, შემამოფოთებელია ის ფაქტი, რომ ღირეუქივების უმეტესობაში დაახლოების პირველ ეტაპებზე, ფაქტობრივად, არ შესრულდა და საკანონმდებლო ჩარჩო და კომპუტენტური ორგანოები არ განისაზღვრა. ვადები, გარკვეულწილად, მხოლოდ რამდენიმე კანონთან მიმართებაში იქნა დაცული.

ეტაპობრივი დაახლოების მთავარ პრობლემებად გამოიკვეთა:

1. კანონმდებლობის შემუშავების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შეზღუდვა;
2. ეროვნული კანონმდებლობის შემუშავების ხელშემშლელ მიზეზთა გაუმჭვირვალობა.

ორჭუსის კონვენციის მერვე მუხლი ითხოვს საზოგადოების მონაწილეობას აღმასრულებელი დებულებების და/ან საყოველთაოდ მისაღები სამართლებრივად სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში. თუმცა არ მოხდა კონვენციის ამ მუხლების ტრანსპოზიცია შესაბამის ნორმატიულ აქტებში, რის შედეგადაც არ არსებობს კონკრეტული მექანიზმები რომელიც ამ უფლების რეალიზებას შესაძლებელს გახდიდა. შესაბამისად, არ არსებობს სამართლებრივი ინიციატივების შემუშავების ერთიანი პრაქტიკა და, პრაქტიკულად, ყველა კანონის თუ კანონქვემდებარე აქტის შემუშავება სხვადასხვანაირად ხორციელდება. ფართო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილისთვის ზოგიერთი საკანონმდებლო ინიციატივის ტექსტი ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ პროექტის პარლამენტში შეტანის წინ, ან რეგისტრაციის შემდეგ, კანონქვემდებარე აქტები კი - მიღების შემდგომ.

შესაბამისად, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, რომელიც განსაზღვრულია ასოცირების შეთანხმებით, ძირითადად, საზოგადოების ჩართულობის გარეშე მიმდინარეობს. მაგალითად, „სახელმწიფო ორგანოები, მათ შორის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პრაქტიკულად, არასდროს არ აქვეყნებენ და არ იხილავენ საჯაროდ კანონქვემდებარე აქტების პროექტებს. მაგალითად: [„ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტი - „საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილება „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ - მისი მიღებიდან დღემდე 68-ჯერ შეიცვალა. აქედან, 2017 წლიდან დღემდე, დადგენილება 19-ჯერ შეიცვალა და არცერთ შემთხვევაში, მთავრობის დადგენილების პროექტი არ ყოფილა საჯარო განხილვის საგანი“](#).

საინტერესოა, აგრეთვე, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კანონი“, რომელიც 2019 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა საჯარო განხილვისთვის და შემდგომ პარლამენტში წარსადგენად. გამოქვეყნებული კანონპროექტში არ იყო სათანადოდ გათვალისწინებული როგორც საერთაშორისო ვალდებულებები, აგრეთვე ევროკავშირის ღირეუქივების მოთხოვნები, არ იყო განსაზღვრული კანონის განხორციელებისა და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის მექანიზმები. [გარემოსდაცვითი ორგანიზაციების თვალსაზრისით](#), ამის მთავარი მიზეზი პროექტის გაუმჭვირვალედ, დაინტერესებული მხარეების არასათანადო ჩართულობით, ექსპერტთა შენიშვნების დიდი ნაწილის გაუთვალისწინებლობით და ფორმალური, ზედაპირული საჯარო განხილვების ფონზე მომზადებაა. [გარემოს დაცვის სამინისტრომ](#) ბიომრავალფეროვნების კანონპროექტთან დაკავშირებით არასამთავრობოების მოთხოვნები დააკმაყოფილა და პროექტის არსებული ვერსია, რომელიც, ორგანიზაციების მითითებით, მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავდა, პარლამენტს აღარ წარედგინა.

აღსანიშნავია, რომ გაუმჭვირვალე პროცესის შედეგად იზრდება ინტერესთა კონფლიქტები, მთელი რიგი „არასაჯარო“ ინტერესების ლობირება. მაგალითად, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შემთხვევაში, [მთელი რიგი ბიზნეს-ასოციაციები ლიად ლობირებდნენ](#) „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის გადავადებას, იმ მოტივით, რომ მათი ხარჯები გაიზრდებოდა და ისინი მზად არ იყვნენ ინსტრუმენტული მონიტორინგის დანერგვისთვის. შესაბამისად, კანონი მიღებულ იქნა მხოლოდ 2021 წლის მარტში, 2020 წლის სექტემბრის ნაცვლად; ანუ, კანონმდებლობის მიღება, ფაქტობრივად, 7 თვით გადავადდა. საინტერესოა, რომ „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის მიღებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი ცვლილებები შევიდა „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც 2021 წლის 1 ივნისიდან

ამოქმედდა. სრულად „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონი 2022 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება.

ქვემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტების სამუშაო ვერსიების დიდი ნაწილი (იხილეთ ცხრილი 1.), ძირითადად არ გასცდენია ექსპერტთა მცირე წრეს. ამასთან, ამ კანონების ნაწილი, სხვადასხვა სახის ექსპერტიზასაც კი დაექვემდებარა, ისე რომ ფართო საზოგადოება და დაინტერესებული ჯგუფები არ იყვნენ ჩართულნი. მაგ., პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2020 წლის ანგარიშის თანახმად, წყლის რესურსების მართვის კანონმა გაიარა გენდერული ექსპერტიზა, რომლის თანახმადაც, კანონი გენდერულად მგრძობიარე არაა და, შესაძლებელია, უარყოფითი ზემოქმედება მიაყენოს ქალებს. ასოცირების დღის წესრიგის შესრულების ეროვნული ანგარიში 2020 არ განმარტავს, თუ რა ფაქტორების გამო არ მოხდა წყლის რესურსების მართვის კანონპროექტის სამუშაო ვერსიის გაცნობა საზოგადოებისთვის და მისი წარდგენა პარლამენტისთვის. ასევე გაუგებარია, მაგალითად, რატომ არ მოხდა სამრეწველო ემისიების კანონის მიღება.

საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულმა 2018-2021 წლების ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების ანალიზმა საინტერესო სურათი დახატა. წლიური შესრულების ანგარიშები არ აანალიზებდა წლიურ სამოქმედო გეგმების შესრულებას ცალკეული მიმართულებებით იმ ინდიკატორებზე დაყრდნობით, რასაც განსაზღვრავდა გეგმა. წლიურ ანგარიშში უფრო გაცხადებული იყო რა სამუშაოები იყო გატარებული გეგმის ზოგიერთ პუნქტთან მიმართებაში. აგრეთვე, არ იყო ახსნილი, რა მიზეზებით გადავიდა ერთი სამუშაო წლის გეგმის პუნქტები შემდგომ წელიწადში, რა სირთულეები იყო ამ მხრივ და ა.შ. შესაბამისად, ანგარიშებში წლიდან წლამდე გადადის შეუსრულებელი პუნქტები ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

ცხრილი 1.

ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის განხორციელების 2017-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები რიგ კანონპროექტის მომზადებასთან მიმართებაში

კანონპროექტის დასახელება	ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში 2018	ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში 2019	ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში 2020	შენიშვნა
სამრეწველო ემისიების კანონი	შემუშავებულია და განხილვის პროცესშია „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე ცვლილებათა კანონპროექტები, რომელთა წარდგენა დაგეგმილია პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე.	სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები გაგზავნილია სამთავრობო უწყებებში შესათანხმებლად.	2020 წლის ანგარიშში კანონი ნახსენებიც არაა. სამაგიეროდ, ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება, თავის ბოლო, 2020 წლის ანგარიშში , გამოთქვამს წუხილს, რომ კანონი ჯერაც არაა მიღებული	საქართველოს უნდა მიეღო ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისად, 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივა სამრეწველო ემისიების შესახებ, შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო 2020 წლის ბოლომდე უნდა განესაზღვრა და დაენერგა ინტეგრირებული სანებართვო სისტემა.
წყლის რესურსების მართვის	შემუშავდა „წყლის რესურსების მართვის შესახებ“	მომზადებულია "წყლის რესურსების	"წყლის რესურსების მართვის შესახებ" საქართველოს	2018 წლის 31 დეკემბრამდე საქართველოს უნდა მიეღო ეროვნული კანონმდებლობა

<p>შესახებ კანონი</p>	<p>საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვერსია. კანონპროექტი გაიგზავნა უწყებებში შენიშვნებისათვის და განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე საჯარო განხილვისთვის. მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით, შეტანილია ცვლილებები კანონპროექტის ტექსტში</p>	<p>მართვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვერსია, რომელიც საქართველოს პარლამენტს წარედგინება 2020 წლის პირველ ნახევარში.</p>	<p>კანონის პროექტი მზადდება პარლამენტში წარსადგენად. 1998 წლის 3 ნოემბრის საბჭოს 98/83/EC დირექტივა ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ, (EC) N1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად</p>	<p>და განესაზღვრა კომპეტენტური ორგანოები, შემდეგი დირექტივების თანახმად,</p> <ol style="list-style-type: none"> 1. 2000 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/60/EC დირექტივა წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, 2455/2001/EC გადაწყვეტილებით შეტანილი შესწორებების შესაბამისად 2. 1998 წლის 3 ნოემბრის საბჭოს 98/83/EC დირექტივა ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ, (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად 3. 1991 წლის 12 დეკემბრის საბჭოს 91/676/EEC დირექტივა სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ, (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად
-----------------------	---	---	---	--

				განსაზღვრა ეროვნული კანონმდებლობა
	მომზადებულია "ბიომრავალფეროვნების შესახებ" კანონის პროექტი, რომლის წარდგენა საქართველოს მთავრობისათვის იგეგმება 2019 წელს.	შემუშავდება "ბიომრავალფეროვნების შესახებ" კანონპროექტის საბოლოო ვერსია, 2019 წლის დეკემბერში ჩატარდა კანონის 4 საჯარო განხილვა, ამჟამად, მიმდინარეობს საჯარო განხილვების დროს მიღებული კომენტარების ასახვა, შესაბამისად, აქტივობის შესრულებამ გადაიწია 2020 წლისთვის	"ბიომრავალფეროვნების შესახებ" კანონპროექტის ძირითად ნაწილზე მუშაობა დასრულდა 2020 წელს და წარედგინა საქართველოს მთავრობას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შენიშვნებისა და კომენტარების განხილვა.	2016 წლის ბოლომდე უნდა მიღებულიყო ეროვნული კანონმდებლობა და განსაზღვრულიყო კომპეტენციები, 1996 წლის 9 დეკემბრის 96/82/EC დირექტივა სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი ავარიების საფრთხეების შესახებ, 2003/105/EC დირექტივით და (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი შესწორებების შესაბამისად
სახიფათო ქიმიური ნივთიერებები ან ქიმიური ნარევებით გამოწვეული მასშტაბური ავარიების პრევენციის შესახებ	შემუშავებულია "სახიფათო ქიმიური ნივთიერებებით ან ქიმიური ნარევებით გამოწვეული მასშტაბური ავარიების პრევენციის შესახებ" საქართველოს კანონის სამუშაო ვერსია.	არ იძებნება	არ იძებნება	2018 წლის 31 დეკემბრამდე უნდა მიღებულიყო ეროვნული კანონმდებლობა და განსაზღვრულიყო კომპეტენტური ორგანოები 1996 წლის 9 დეკემბრის 96/82/EC დირექტივის სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი ავარიების საფრთხეების შესახებ, 2003/105/EC დირექტივით და (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი შესწორებების შესაბამისად

1.4 გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სექტორში რეფორმებისა და ღონისძიებების დაფინანსება

შეთანხმება, ისევე როგორც ასოცირების დღის წესრიგი, საკანონმდებლო საქმიანობასთან ერთად ითხოვს მთელი რიგი გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსებას, როგორც ეს, ასევე, გაწერილია 2017-2021 წლების საქართველოს მესამე გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამაში (შემდგომში - NEAP). ისევე, როგორც საკანონმდებლო დაახლოების შემთხვევაში, NEAP-ის შესრულებაშიც გვხვდება გადავადების

შემთხვევები, რაც დაკავშირებულია როგორც საკანონმდებლო პროცესის შეფერხებასთან, ისე, ხშირად, დაფინანსების არარსებობასთან. საგულისხმოა, რომ სამოქმედო პროგრამების შედგენისას, როგორც წესი, პრიორიტეტი ენიჭება ისეთ საკითხებს, რომლებზეც შესაძლებელია დონორების მხრიდან დაფინანსების მოპოვება.

რაც შეეხება საბიუჯეტო დაფინანსებას, გარემოსდაცვითი სექტორის დაფინანსება შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის 0.4%-ს და დღესდღეობით, დაახლოებით 60 მლნ. ლარია (დაახ. 19 მლნ აშშ დოლარი), რაშიც შედის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელთა ხელფასებიც. ამასთან, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სექტორში განსაკუთრებით მაღალია ადამიანური რესურსების ნაკლებობა. ყოველივე ამის შედეგად, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მთელ რიგ სექტორებში (ბიომრავალფეროვნება, წყალი და ა.შ.) გვაქვს ჩავარდნები, როგორც NEAP-ის ასევე, ასოცირების დღის წესრიგის შესრულების კუთხით.

აღსანიშნავია ისიც, რომ დონორების, მათ შორის [ევროკავშირის](#), დაფინანსება სექტორში დიდია, თუმცა, ვინაიდან დაფინანსება პროექტულია, ხშირად, მთავრობას არ გააჩნია საკუთრების განცდა შექმნილ პროდუქტებზე და არ ხდება მათი ფორმალური დამტკიცება და/ან პრაქტიკაში გამოყენება. რიგი კანონპროექტების მომზადების შემთხვევაში, დაფინანსება გამოყოფილია დონორების, ძირითადად ევროკავშირის, წევრი ქვეყნებისა თუ ამერიკის მთავრობის მიერ. ამ შემთხვევებში, ხშირად, კანონპროექტებთან ერთად, მზადდება კანონქვემდებარე აქტებიც და სახელმძღვანელო დოკუმენტებიც, ხოლო შემდგომ არ ხდება მათი დამტკიცება სხვადასხვა და ხშირად, გაურკვეველი მიზეზების გამო. ასე, მაგალითად, [სახელმძღვანელო „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგია“ შემუშავდა 2017 წელს USAID-ის დახმარებით და ის დღემდე არაა დამტკიცებული](#), მიუხედავად იმისა, რომ საკითხთან დაკავშირებული ყველა დაინტერესებული მხარე, უკვე წლებია აღიარებს მისი მიღების და გამოყენების გადაუდებელ აუცილებლობას (დამატებით, იხილეთ თავი „საინფორმაციო სისტემების გაუმჯობესება SEIS პრინციპების თანახმად“).

ზემოაღწერილ პრობლემას კარგად წარმოაჩენს კიდევ ერთი მაგალითი - ევროკავშირის მიერ, ჩეხეთის, ნიდერლანდებისა და ესპანეთის მთავრობასთან ერთად, 2017-2019 წლებში განხორციელებული დამბობილების პროექტი. პროექტის განმავლობაში ინტეგრირებული ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ტრენინგები ჩატარდათ სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ერთეულების თანამშრომლებს. ამავდროულად პროექტის ფარგლებში შემუშავდა „სამრეწველო ემისიების შესახებ“ და “მასშტაბური ავარიების საფრთხეების კონტროლის შესახებ“ კანონპროექტების სამუშაო ვერსიები, თუმცა, [არ მომხდარა მათი შემდგომი განხილვა და წარდგენა](#) პარლამენტისთვის. პროექტის დირექტორებმა 1 მლნ ევროს შეადგინა.

თავი 2. საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესრულება გარემოს დაცვისა და კლიმატის სექტორში

პრიორიტეტი 1

„გარემოსდაცვითი მმართველობის გაძლიერება გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან, სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასთან დაკავშირებით ახალი კანონმდებლობის მიღებითა და იმპლემენტაციის გზით; გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ახალი კანონმდებლობის მიღება, საზოგადოებისთვის გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით; პოლიტიკური აქტივობის სხვადასხვა სფეროში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება და გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაზიარების მექანიზმის გაუმჯობესება, რაც შეესაბამება ერთიანი გარემოსდაცვითი ინფორმაციის სისტემის (SEIS) პრინციპებს;“

2.1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი

2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებს სახელმწიფო და კერძო პროექტებისათვის, რომლებსაც თან სდევს მნიშვნელოვანი რისკები გარემოსთვის და ადამიანების ჯანმრთელობისთვის. ამასთან, კოდექსის საფუძველზე აღდგა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა. 2018 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა ასევე კოდექსის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ნაწილი. დამტკიცდა გარემოსდაცვით ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის წესი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, საჯარო მოსმენების ორგანიზების წესი და ა.შ.

ხაზგასასმელია, რომ აღსრულების თვალსაზრისით გარემოსდაცვითი კოდექსის შესრულება კვლავ პრობლემატურად რჩება. ერთის მხრივ, [გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სისტემატურად არღვევდა გარემოსდაცვითი შეფასების მოთხოვნებს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის თაობაზე](#). კერძოდ, კონსულტაციების ჩატარების ვადების, დოკუმენტაციის გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის, საჯარო მოსმენების ორგანიზების და სხვა საკითხების თვალსაზრისით. შედეგად, გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესებში საზოგადოების მონაწილეობა კვლავაც პრობლემურია. 2020-2021 წლებში COVID-19-თან დაკავშირებული პანდემიის ფონზე [საზოგადოების მონაწილეობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკა](#) ადგილობრივი მოსახლეობისთვის კიდევ უფრო პრობლემატური გახდა.

საინტერესოა ისიც, რომ, სამწუხაროდ, კოდექსის ამოქმედებას არ გაუზრდია გზმ (გარემოზე ზემოქმედების შეფასების) ანგარიშების ხარისხი, ვინაიდან, უფლებამოსილი ორგანო (სამინისტრო) არ ამბობდა უარს უხარისხო დოკუმენტების განხილვაზე. სამინისტრო გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებს გასცემს ისე, რომ გზმ-ს მნიშვნელოვანი კომპონენტები არაა შესწავლილი და წარმოდგენილი - მაგალითად, [ბიომრავალფეროვნების, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა სახის კვლევები](#); ხოლო გადაწყვეტილების პირობებში კი იწერება, რომ ეს კვლევები უნდა დასრულდეს მშენებლობის დაწყებამდე. სამინისტროს მიერ დამკვიდრებული ეს პრაქტიკა კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია და უხეში კანონდარღვევაა. საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული ძირეული პრობლემები, სუსტი მაკონტროლებელი მექანიზმებისა და ცუდი ხარისხის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების ფონზე, ხელს უწყობს უხარისხო და წინააღმდეგობრივი პროექტების განხორციელებას, რაც [ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის კონფლიქტებს](#) აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ამ უკანასკნელის [მხრიდან ადამიანის უფლებების მასიური დარღვევების ფონზე](#).

2020 წელს, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მოკვლევამ [„გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების აღსრულების კონტროლის შესახებ“](#) გამოკვეთა გარემოსდაცვითი კოდექსის მთელი რიგი შეუსაბამოები ევროკავშირის დირექტივასთან, განსაზღვრა რეკომენდაციები როგორც საკანონმდებლო ცვლილებების მხრივ, აგრეთვე გზმ-ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, სხვადასხვა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების მომზადების, საზოგადოების ინფორმირების გაზრდისა და საჯარო მოსმენების ეფექტურობის ამაღლებისთვის.

სამწუხაროდ, ამ რეკომენდაციების შესრულების ნაცვლად, 2021 წლის 6 ივნისს საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში. [კანონპროექტის მიხედვით, იგეგმება ინსტიტუციური ცვლილება](#): გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის სრულად გადატანა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შემადგენლობაში და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და სტრატეგიულ დოკუმენტებზე რეკომენდაციების გაცემის უფლებამოსილებების სრულად დელეგირება. ამ გზით გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცდილობს აირიდოს პოლიტიკური პასუხისმგებლობა იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც ქვეყნის განვითარებას, საზოგადოების უსაფრთხოებას და ადამიანის ძირითადი უფლებების აღსრულებას ეფუძნება. პარლამენტის წევრები არ თვლიან პრობლემურად ინტერესთა კონფლიქტებსა და კორუფციული რისკების ზრდის საფრთხეებს. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს აქვს კომერციული ინტერესები, ვინაიდან საკონსულტაციო მომსახურებას უწევს სწორედ იმ კომპანიებს, რომელთაც უნდა მისცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, ამ ცვლილების მიზანს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ადმინისტრირების გამარტივება წარმოადგენს. კონკრეტულად კი, ამ ცვლილებამ ინფორმაციაზე შეზღუდულ წვდომასთან, ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ნაკლებობასთან, გადაწყვეტილების მისაღებად განსაზღვრულ შემჭიდროვებულ ვადებთან დაკავშირებული პრობლემები უნდა გადაჭრას. თუმცა მოყვანილი არგუმენტები, სადაოა. ტრადიციისამებრ, „კანონპროექტზე მუშაობის დროს მოწვეულნი არ ყოფილან გარემოს დაცვისა თუ სხვა სფეროში მომუშავე ორგანიზაციები და ექპერტები, რომლებსაც აქვთ სათანადო ცოდნა და გამოცდილება, შეაფასონ გარემოსდაცვითი კუთხით ქვეყანაში დღეს არსებული გამოწვევები და შესთავაზონ უწყებებს მათი გადაჭრის სათანადო გზები“.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების დელეგირება ისეთ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის განვითარებას, საზოგადოების უსაფრთხოებასა და ადამიანის ძირითადი უფლებებით სათანადო სარგებლობას, სამინისტროს მხრიდან პოლიტიკური პასუხისმგებლობისგან თავის არიდების საშუალებას წარმოადგენს. ამასთან, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის ამ უფლებამოსილების გადაკისრება ზრდის ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციულ საფრთხეებს, ვინაიდან ამ სააგენტოს გააჩნია თავისი კომერციული ინტერესები. არასამთავრობო ორგანიზაციების თვალთახედვით, შემოთაღნიშნული ინსტიტუციური ცვლილება, [„საფრთხეს უქმნის ქვეყანაში დღეს არსებულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ წესრიგს და მომავალში უარყოფითად აისახება ქვეყნის განვითარებაზე“](#).

2.2 გარემოს საკითხების ინტეგრირება სხვა სფეროებში პოლიტიკის დაგეგმვისას

სამწუხაროდ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული ინსტრუმენტის - სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების - შემოტანას არ გაუზრდია გარემოს საკითხების ინტეგრირება სხვა სფეროებში. მაგალითად, წიაღის ეროვნული სტრატეგია შემუშავდა ყოველგვარი საზოგადოების მონაწილეობის გარეშე და მას არ ჩაუტარდა [სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება](#).

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) 2018 წლის 1 ივლისიდან რუტინულად უნდა ჩაუტარდეს საქართველოს ქალაქების და დაბების გენერალურ და განაშენიანების გეგმებს. თუმცა, აქაც ვაწყდებით არაერთგვაროვან პრაქტიკას, გამომდინარე მთავრობისა და მასთან დაახლოებული პირების ინტერესებიდან. მაგალითად, 2020 წლის 7 აპრილს ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება [„დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმების დამტკიცების თაობაზე“](#) კანონმდებლობით მოთხოვნილი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების გარეშე. საინტერესოა, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის თანახმად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესი არ ჩატარდა, ვინაიდან 2015 წელს უკვე „არსებობდა დაბა აბასთუმნის სტრატეგია და განსაზღვრული იყო დაბის განვითარების ძირითადი მიმართულებები“ შესაბამისად, „ჩაითვალა რომ შემოაღნიშნული დოკუმენტი სგშ-ს ჩატარების მოთხოვნას არ საჭიროებდა.“ საინტერესოა, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სრულად დაეთანხმა ამ პოზიციას, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ 2019 წლიდან დაიწყო ქ. აბასთუმანში მთელი რიგი მშენებლობები, მათ შორის [აბასთუმნის შემოსავლიელი გზის მშენებლობა](#), რომელსაც საკმაოდ დიდი უარყოფითი ზეგავლენა ექნება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკზე და დაგეგმილ ზურმუხტის ქსელის საიტზე. აბასთუმანში მიმდინარე ტურიზმის

სექტორის განვითარება და [შემოსავლელი გზის მშენებლობა პირდაპირაა დაკავშირებული ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ინტერესებთან.](#)

შედეგად, მივიღეთ სიტუაცია, როდესაც გვაქვს კანონი, რომლითაც სავალდებულოა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარება სტრატეგიული დოკუმენტისთვის, [თუმცა მოთხოვნის აღსრულება არ ხდება](#); ხოლო ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კომპეტენციასაც მიეკუთვნება საკითხის რეგულირება, თავს არიდებს პასუხისმგებლობას.

2.3. „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონი

2021 წლის 3 მარტს მიღებულ იქნა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონი, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ 2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/35/EC დირექტივასთან დაახლოების ეგიდით. კანონმა დაადგინა, გარემოზე მიყენებული ზიანის-თვის პასუხისმგებლობის ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც ეფუძნება პრინციპს „დამბინძურებელი იხდის“ და მოიცავს გარემოზე ზიანის მიყენების თავიდან არიდების/შერბილების/აღმოფხვრის ახალ რეგულაციებს. (იხილეთ თავი პირველი, 1.3)

2.4. გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაზიარების მექანიზმის გაუმჯობესება - ერთიანი გარემოსდაცვითი ინფორმაციის სისტემის (SEIS) პრინციპების თანახმად.

ამ მიმართულებით არაერთი ღონისძიება განხორციელდა, თუმცა, კვლავ პრობლემურია პროექტების ფარგლებში მიღებული პროდუქტების, მათ შორის, შექმნილი ინფორმაციის ხარისხი.

მაგალითად, პროექტის „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ თანახმად, უნდა შექმნილიყო გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემა, რომელიც შესთავაზებდა საზოგადოებას დეტალურ ინფორმაციას რიოს სამი კონვენციის - ბიომრავალფეროვნების დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და გაუდაბნობის შესახებ. 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „შეიქმნა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემა, რომლის ფარგლებში განვითარდა სამი მოდული: კლიმატის ცვლილება, გაუდაბნობა და ბიომრავალფეროვნება. ამასთანავე, შეიქმნა სისტემის ვებ პორტალი, მობილური აპლიკაცია (IOS და Android პლატფორმაზე) და ბილინგის სისტემა“. მართალია პლატფორმა ხელმისაწვდომია - <https://eims.mepa.gov.ge> -ზე, მაგრამ მასზე არაა განთავსებული არც ინფორმაცია სერვისების შესახებ, არც მონაცემები ზემოთაღნიშნული მოდულების ფარგლებში.

[საქართველოს მესამე გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის 2020 წლის შესრულების ანგარიშის](#) თანახმად, „გარემოსდაცვითი შეფასების ელექტრონული სისტემა სატესტო რეჟიმშია და 2021 წლის I კვარტლის დასასრულს, სისტემა ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისთვის“. თუმცა, [პორტალი](#) დღესაც არაა ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის.

ამავდროულად, იგივე დონორული დახმარებით შექმნილი პლატფორმები, როგორცაა <http://air.gov.ge/>, რომელიც ატმოსფერულ ჰაერის ხარისხის არსებულ მდგომარეობას ონლაინ რეჟიმში ასახავს, აგრეთვე წყლის ხარისხთან დაკავშირებული <http://wis.mepa.gov.ge/>, საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს.

[Global Forest Watch](#)-ის მიერ შეიქმნა საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი - <https://atlas.mepa.gov.ge/> - ონლაინ მონიტორინგის პლატფორმა, რომელიც იძლევა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ტყესთან დაკავშირებული მონაცემების გაცნობა-გაანალიზების საშუალებას. სამინისტროსთვის

გადაცემიდან თითქმის ნახევარ წელზე მეტი, პლატფორმა არ ფუნქციონირებდა და მხოლოდ 2019 წლის ბოლოსკენ აღდგა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე არაა ხელმისაწვდომო რეგულარული საინფორმაციო ბიულეტენები გეოლოგიურ სამიშროებებზე, გარემოს დაბინძურების მიმოხილვები, ჰაერის და ზედაპირული წყლების დაბინძურების წელიწდეულები, და ა.შ. სააგენტოს 2020 წლის წლიური ანგარიში წარმოდგენილია Power Point-ის პრეზენტაციის სახით, ხოლო 2018-2019 წლების ანგარიშები საერთოდ არ იძებნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ზემოთაღნიშნული პლატფორმის შესახებ ინფორმაციის მოძიება საკმაოდ რთულია, ვინაიდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე <https://mepa.gov.ge> არაა გამოტანილი ინფორმაცია ამ პლატფორმების არსებობის შესახებ.

პრიორიტეტი 2

საქართველოს მე-3 გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის იმპლემენტაცია მასში გაწერილი განრიგის შესაბამისად;

შეფასება -ნაწილობრივ შესრულდა

2018 წელს დამტკიცდა საქართველოს მესამე გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა, რომელიც წარმოადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში ქვეყნის უმთავრეს სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს დარგის გრძელვადიან სტრატეგიულ პრიორიტეტებსა და კონკრეტულ სამოქმედო გეგმას ხუთწლიანი (2017-2021) პერიოდისთვის.

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა დაყოფილია სექტორული მიმართულებების მიხედვით და მოიცავს 12 თავს:

- გარემოსდაცვითი მმართველობა
- წყლის რესურსების მართვა
- ატმოსფერული ჰაერის დაცვა
- ნარჩენების მართვა
- ქიმიური ნივთიერებების მართვა
- ბიომრავალფეროვნების დაცვა
- ტყის მართვა
- ნიადაგის დაცვა
- კლიმატის ცვლილება
- ბუნებრივი საფრთხეების რისკების მართვა
- რადიაციული უსაფრთხოება
- მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული წლიური ანგარიშების (2017-2021) [2017-2018](#) წლების შესრულების მონიტორინგის ანგარიში, (2017-2021) [2019](#) წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში, (2017-2021) [2020](#) წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში თანახმად, დღეისთვის მესამე გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის შესრულება საკმაოდ პრობლემურად გამოიყურება.

წელი	დაგეგმილი ქმედებების ოდენობა	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	ბიუჯეტი მლნ. ლარი
2017-2018	152	31	23	53	44	34,910780
2019	154	20	38	58	38	12,348482
2020	137	28	50	40	19	41,335700
სულ	443	79	111	151	101	88,593962

დოკუმენტი მოიცავს საქართველო ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გაწერილ ყველა ვალდებულების შესრულებას, აგრეთვე ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრულ ვალდებულებებს, რომელთაც ქვედა თავებში განვიხილავთ.

პროგრამა ასევე მოიცავს მთელ რიგი მნიშვნელოვან ღონისძიებებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ასოცირების შეთანხმების პირდაპირ ვალდებულებას, თუმცა მათი შესრულება აუცილებელია ქვეყნის გარემოს დაცვისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის პერსპექტივიდან. მაგალითად,

- [გარემოსა და ჯანმრთელობის მეორე სამოქმედო გეგმის \(NEHAP 2\) მომზადება და მიღება \(2018-2022\)](#) მართალია წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ ამ გეგმის შესრულების ანგარიში არაა ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. დოკუმენტი მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან პრიორიტეტს: 1. უსაფრთხო წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მათ შორის თითოეული ბავშვისთვის; 2. ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს მიმართ ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, გაზრდილი ფიზიკური აქტივობის უზრუნველსაყოფად 3. მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ატმოსფერული და შენობის შიდა ჰაერის დაბინძურების მავნე ზემოქმედების შემცირება; 4. ქიმიური ნივთიერებების უარყოფითი ზემოქმედებით გამოწვეული ავადობის პრევენცია (მათ შორის, ტყვია, აზბესტი, რადონი და სხვ.); 5. ჯანმრთელობის საკითხების ინტეგრირება კლიმატის ცვლილებების ადაპტაციისა და შერბილების პოლიტიკაში.
- 2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის ეროვნული მოხსენების დამტკიცება 2019 წლის 30 დეკემბერს საკმაოდ დაგვიანებულია.
- მნიშვნელოვანი დაგვიანებით, 2020 წლის მაისში დამტკიცდა მესამე მოსმენით ტყის კოდექსი, რომელიც არ [ითვალისწინებს საზოგადოების ფართო ჩართულობას ტყის მართვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპზე](#), მათ შორის, ტყის სტატუსის მინიჭება და გაუქმება, ტყეთსარგებლობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება და სხვა.

მესამე გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის ნაწილობრივი შესრულება დაკავშირებულია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ეტაპობრივად დაახლოების პროცესში ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული კანონებისა და თუ სხვა მარეგულირებელი აქტების მიღების ვადების დარღვევასთან.

აღსანიშნავია ისიც, პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიება შესაძლებელია შესრულდეს, თუმცა გადაწყვეტილება შემდეგში ასევე ადვილად შეიძლება შეიცვალოს ბიზნესის თუ სხვა მხარის მოთხოვნების გამო, ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე საზოგადოებასთან. მაგალითად, მესამე გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის 2020 წლის ანგარიშის თანახმად, წარმატებით შესრულდა [„დიზელის საწვავის ხარისხის გაუმჯობესების“](#) ღონისძიებები; შედეგად 2022 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოხმარებული [დიზელის საწვავის სტანდარტი უნდა განსაზღვრულიყო ევრო 5 -ი სტანდარტით](#). თუმცა, 2021 წლის ზაფხულში მიღებული იყო ცვლილება, რომელმაც დიზელის საწვავის ევრო 5 სტანდარტის დამკვიდრების ვადები 2023 წლის 1 იანვრიდან განსაზღვრა.

პრიორიტეტი 3

რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის იმპლემენტაციის დაწყება.

შეფასება - ნაწილობრივ შესრულდა

„რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2017-2031-ის“ შესრულება, ძირითადად, შესაბამება სამოქმედო გეგმებს. თუმცა დოკუმენტის „[ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2020-2023 წლებისათვის](#)“ თანახმად, რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ნაბიჯებისთვის დაფინანსება არ არის გამოყოფილი, და სექტორში დაფინანსების მოცულობა მხოლოდ დონორების (საერთაშორისო ატომური ენერჯების სააგენტო, ევროკავშირი და შვედეთის მთავრობა) დახმარებით ხდება.

2018-2020 წლებში დაიგეგმა და ნაწილობრივ განხორციელდა რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ადგილებში უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება. მათ შორის, მცხეთის საცავში დამონტაჟდა რადიაციული მონიტორინგის სისტემა, გაუმჯობესდა რადიოაქტიური ნარჩენის, მათ შორის, ნარჩენი სითხეების შენახვა და სხვა. სააკადის სამარხზე გაიზარდა უსაფრთხოების ზომები, გამოიყო საცავის მიმდებარედ შესაბამისი ტერიტორია რადიოაქტიური ნარჩენების გადაფუთვისთვის საჭირო აღჭურვილობის განთავსებისთვის. ამავედროულად 2018-2019 წლებში ჩატარდა ანასულის საიტის რემედიაციისთვის საჭირო სამუშაოებისთვის წინასწარი რადიაციული კვლევა და განისაზღვრა რეკომენდირებული ღონისძიებები.

2020 წელს, COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, გარემოს რადიაციული მონიტორინგი საქართველოს რეგიონებში არ განხორციელებულა. ამავე დროს, სააგენტოს გადაეცა ბუნებრივი რადიაციული მონიტორინგის ფუნქცია და შესაბამისი რადიაციული მონიტორინგის ავტომატური სადგურები (რომელთა დიდი ნაწილი გაუმართავია და საჭიროებს განახლებას). შექმნილია მობილური ლაბორატორია გარემოს რადიაციული მონიტორინგისთვის და დაწყებულია თანხების მოძიება ავტომატური სადგურების ჩასანაცვლებლად.

პრიორიტეტი 4

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 სამოქმედო გეგმაში გაწერილ ღონისძიებათა იმპლემენტაცია;

შეფასება - ნაწილობრივ შესრულდა

ნარჩენების მართვის კოდექსის და ეროვნული სტრატეგიის მიღება (2014), აგრეთვე 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. 2021 წლისთვის, ეროვნული გეგმის თანახმად, ყველა მუნიციპალიტეტს ნარჩენების მართვის გეგმა აქვს, მათ შორის, დედაქალაქს.

2018 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირებს [ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემა](#), „თუმცა დღეს დღეისობით ყველა ოპერატორი არაა დარეგისტრირებული სისტემაში, რაც აძნელებს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის დანერგვას. რიგ შემთხვევებში მწარმოებლებმა არც კი იციან საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ. ამ ოპერატორებს სჭირდებათ მნიშვნელოვანი დახმარება ეროვნული კანონმდებლობის აღსასრულებლად“.

ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბიოდეგრადირებადი ნარჩენები, რომელიც მყარი ნარჩენების 64% -ს შეადგენს. აქედან 43% მოდის საკვებ ნარჩენებსა და მწვანე ნარჩენებზე. 2020 წელს შემუშავდა ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის სტრატეგიის პირველი სამუშაო ვერსია. ამავდროულად, 2018 წელს მიიღეს კანონმდებლობა პლასტიკის ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების მოთხოვნებზე. [გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით](#), 2019-2020 წლებში განხორციელდა 43 ობიექტის ინსპექტირება და შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები. დაილუქა და კონფისკაციას დაექვემდებარა 2 142 450 ერთეული პლასტიკის პარკი.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულის ფარგლებში, ერთწლიანი დაგვიანებით, საქართველოს მთავრობამ 2020 წელს დაამტკიცა ტექნიკური რეგლამენტები ბატარეებისა და აკუმულატორების, საბურავების, ზეთების, და ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების შესახებ. ასევე მომზადებულია, თუმცა არ არის დამტკიცებული ტექნიკური რეგულაციები ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებებზე და შესაფუთ ნარჩენებზე, რომელიც 2023 წლიდან შევა ძალაში. კანონმდებლობის თანახმად, ნარჩენების დახარისხების დაწყება, შესაბამისი კანონმდებლობის კანონქვემდებარე აქტების შემუშავებით, 2020 წელს იყო დაგეგმილი.

პარლამენტის [გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს განცხადებით](#), 2021 წლის ბოლოსთვის, შესაძლოა, მთავრობამ მოსახლეობას შესთავაზოს, თუ სეპარირების როგორი სისტემა დამკვიდრდება საქართველოში, რომელი მუნიციპალიტეტები იქნება პრიორიტეტი, დაფინანსების პარამეტრები და ა.შ.

2020 წელს ისევ გადავადდა სანიტარული, ევროკავშირის შესაბამისობაში მყოფი ნაგავსაყრელების მშენებლობა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) აფინანსებს ახალ რეგიონალურ ნაგავსაყრელებს და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას აჭარაში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში და რაჭა ლეჩხუმში. გერმანიის განვითარების ბანკი KfW აფინანსებს იგივე ტიპის ნაგავსაყრელებს იმერეთში, კახეთსა და სვანეთში. მესამე გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის (NEAP) 2020 წლის შესრულების ანგარიშის თანახმად, [მიმდინარეობდა არა სანიტარული ნარჩენების განთავსების 4 ახალი რეგიონული ობიექტის \(ნაგავსაყრელის\) და ნარჩენების გადამტვირთავი 12 ახალი სადგურის საპროექტო სამუშაოები](#). თუმცა 2021 წელს მხოლოდ საინფორმაციო შეხვედრები მოეწყო დაინტერესებულ საზოგადოებასთან. ამასთან, 2016-2030 წლების სტრატეგიის მიხედვით უნდა მომხდარიყო არალეგალური ნაგავსაყრელების სრული დახურვა და რემედიაცია, ამჟამად დახურულია 23 ნაგავსაყრელი (2020), თუმცა, ჯერ კიდევ პრობლემატურია სტიქიური ნაგავსაყრელების პრობლემა“, [რაც, თავის მხრივ, აბინძურებს მდინარეებსა და შავ ზღვას](#).

პრიორიტეტი 5

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გაგრძელება და ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამის დანართებში გაწერილი ევროკავშირის დირექტივებისა და რეგულაციების იმპლემენტაცია;

შეფასება - ნაწილობრივ შესრულდა

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება

ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველომ დაიწყო კანონმდებლობის დაახლოების პროცესი ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისთვის შემდეგ დირექტივებთან შესაბამისობაში:

- 2008 წლის 21 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/50/EC დირექტივა ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ;
- 2004 წლის 15 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/107/EC დირექტივა ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, ნიკელის და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის შესახებ.

შედეგად, დღეს საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ისეთი დამაბინძურებლებისთვის, როგორებიცაა გოგირდის დიოქსიდი, აზოტის დიოქსიდი, მყარი ნაწილაკები, ტყვია, ბენზოლი და ნახშირბადის მონოქსიდი, აგრეთვე დარიშხანის, კადმიუმის, ნიკელის და ბენზ(ა)პირენის კონცენტრაციის ზღვრები, შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას, [რაც წლების განმავლობაში დიდ პრობლემას წარმოადგენდა](#). ჰაერის მონიტორინგის ქსელი გაფართოვდა 3 ავტომატური ერთეულით და ერთი მობილური სადგურით, შემუშავებულია „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის ზონებისა და აგლომერაციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი. შემუშავდა ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020-2022. 2017-2020 წლებში მიმდინარეობდა ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა.

2021 წლის 1 ივნისიდან ატმოსფერული ჰაერის კანონით, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესაბამისად, მეწარმეებს დაევალიათ „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგი“ „ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად“. გაფრქვევების ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტი განსაზღვრის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 10,000 ლარიდან 40,000 ლარამდე. ამავდროულად, გარემოს დაცვის შესახებ კანონით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს მიეცა უფლებამოსილება, მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, საქმიანობის განხორციელების ადგილზე მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი ქმედების მთლიანი, ან ნაწილობრივი შეზღუდვის თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში დალუქოს ობიექტი, დანადგარი, აგრეგატი, მოწყობილობა, ნივთი).

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 ივლისის N1354 განკარგულებით შექმნილია „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისია“, რაც, ამუშავების შემთხვევაში, კარგი საკოორდინაციო მექანიზმი იქნება დაბინძურების შემცირებისთვის.

„ატმოსფერული ჰაერის შესახებ“ კანონში 2021 წლის 2 მარტს შეტანილი ცვლილებით, საღებავებში, ლაქებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაღების პროდუქციაში ორგანული გამხსნელების გამოყენებით გამოწვეული აქროლადი ორგანული ნაერთების (აონ) გაფრქვევების ზღვრული ნორმები წესდება მთავრობის დადგენილებით. 2 აპრილს მთავრობამ დაამტკიცა ტექნიკური რეგლამენტის – ლაქ-საღებავებში ტყვიის შემცველობის რეგლამენტირების წესის დამტკიცების თაობაზე, რაც შეესაბამება 2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/42/EC დირექტივას “ზოგიერთ საღებავში, ლაქებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაღების პროდუქციაში ორგანული გამხსნელების გამოყენებით გამოწვეული აქროლადი ორგანული ნაერთების (VOC) გაფრქვევების შემცირების შესახებ“.

საზღვაო სექტორში

- 2018 წელს საქართველოს კანონი საზღვაო სივრცის შესახებ სრულ შესაბამისობაში მოვიდა 2008 წლის 17 ივნისის ევროკავშირის პარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივასთან. 2020 წელს ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მომზადდა საზღვაო გარემოს ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა პროგრამის პროექტი. 2022 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს დირექტივის შემუშავება

მონიტორინგის პროგრამის შექმნითა გარემოს კარგი მდგომარეობის მისაღწევად ღონისძიებების გეგმის შემუშავებითა და განხორციელებით.

ბიომრავალფეროვნება

- როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ არ იქნა მიღებული ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა 1992 წლის 21 მაისის საბჭოს 92/43/EC დირექტივა ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ, 97/62/EC, 2006/105/EC დირექტივების და (EC) N 1882/2003 რეგულაციის მიერ შეტანილი შესწორებების შესაბამისად და გარეულ ფრინველთა დაცვის [2009/147/EC დირექტივის](#) შესასრულებლად.
- იდენტიფიცირებულია ფრინველთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის 32 ადგილი. აგრეთვე გრძელდება ზურმუხტის ქსელის ჩამოყალიბების სამუშაოები თუმცა მრავალი პრობლემით (ხშირია სამშენებლო და სხვა ტიპის აქტივობების განხორციელება საიტებში, მაგ., „სვანეთი 1“ ამოიღეს დაცული ტერიტორიების სიიდან ნენსკრა ჰესის მშენებლობისთვის, მიმდინარეობს აბასთუმნის შემოსავლელი გზის მშენებლობა ბორჯომ ხარაგაულის პარკში, ხოლო შუმის ხიდის მშენებლობა ბუნების ძეგლ დაშბაშის კანიონში). დღეს დღეისობით საქართველოში დამტკიცებულია [ზურმუხტის ქსელის 59 საიტი](#) ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის (ბერნის კონვენციის მიერ) მიერ.

2019 წლის ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა მდინარეები, როგორც საქართველოში საფრთხის წინაშე მყოფი ეკოსისტემები, შეიყვანონ ზურმუხტის ქსელში, აგრეთვე შემუშავდეს მდინარეების დაცვის ეროვნული გეგმა.

სამრეწველო გაფრქვევები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაურკვეველი მიზეზების გამო შეჩერებულია სამრეწველო ემისიების შესახებ კანონის მიღება, რის შედეგადაც კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვა 2010/75 /EU დირექტივასთან. აღსანიშნავია, რომ ამ დირექტივის შესრულება ქვეყანას ასევე მოეთხოვება ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მხრიდანაც.

წყლის სექტორი

ევროკავშირის წყლის რესურსების მართვის კანონმდებლობის შესაბამისი წყლის ახალი კანონი ჯერ კიდევ არ არის შეტანილი პარლამენტში განსახილველად, იმისდა მიუხედავად, რომ დოკუმენტზე მუშაობა 2011 წელს დაიწყო. საქართველომ უნდა შეცვალოს კანონმდებლობა შემდეგ დირექტივებთან - წყლის ჩარჩო დირექტივა (2000/60/EC), დირექტივა ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდის შესახებ (91/271/EEC), დირექტივა წყალდიდობების რისკების შესახებ (2007/60/EC), დირექტივა სოფლის მეურნეობის წარმოების შედეგად გენერირებული ნიტრატებით წყლის დაბინძურების შესახებ (91/676/EEC), დირექტივა ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ (98/83/EC) -შესაბამისობაში.

ყოველწლიურად ანგარიშებში ვკითხულობთ, რომ კანონის მიღება მოხდება შემდეგ წელს. არსებობს დაპირება რომ კანონპროექტის განხილვა პარლამენტში 2021 წლის შემოდგომაზე დაიწყება, თუმცა საინტერესოა, რომ ამის შესახებ ჯერ ცნობილი არ გამხდარა არც საზოგადოებისთვის და არც არასამთავრობო ორგანიზაციების

დიდი ნაწილისთვის. საერთოდ, მთავრობის მხრიდან, არანაირი განმარტება არ კეთდება კანონმდებლობის შემუშავებისას წარმოქმნილ გამოწვევებზე.

2020 წელს, პარლამენტის გენდერული თანასწორობის კომისიის ეგიდით, წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტის გენდერული გავლენა შეფასდა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის [ანგარიშის](#) თანახმად, კანონპროექტი არ ითვალისწინებს ქალთა განსაკუთრებულ საჭიროებებს ამ მიმართულებით და არ მოიცავს გენდერული თანასწორობის კომპონენტს.

საინტერესოა ისიც, რომ შემუშავებულია მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები (მაგალითად, სასმელი წყლის და მუნიციპალური ჩამდინარე წყლების დამუშავების სტანდარტები) წყლის რესურსების შესახებ ევროკავშირის ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზასთან კანონმდებლობის შესაბამისობის მიზნით. ამ კანონქვემდებარე აქტების მიღება და მდინარის აუზის მართვის სისტემის შექმნის პროცედურების დამტკიცება მოხდება მხოლოდ ძირითადი კანონის დამტკიცების შემდეგ.

ამჟამად, ევროკავშირის დახმარებით შემუშავებულია რამდენიმე მდინარის აუზის (ხრამი-დებედა, ალაზანი-იორის და აჭარის წყალი-ჭოროხის) მართვის გეგმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ევროკავშირის [წყლის ინიციატივა](#) პლუსის ფარგლებში.

სამრეწველო ავარიები, სევესო III

2019 წელს გამოქვეყნდა კანონი „სამრეწველო ავარიების შესახებ“ სამუშაო ვერსია, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელსაც ხელი უნდა შეეწყოს კანონმდებლობის დაახლოებისთვის ევროკავშირის სევესო დირექტივასთან (2012/18 EU “სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი ავარიების საფრთხეების შესახებ“ დირექტივა). პროექტს უნდა განევითარებინა სახიფათო ნივთიერებებთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიების პრევენციის სისტემა, ევროკავშირის სევესო III დირექტივასთან თანხვედრაში. [2020 წელს კანონი არ მიუღიათ.](#)

სამთო მოპოვებითი ნარჩენები

საქართველოს კანონმდებლობის „მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ“ 2006/21/EC დირექტივასთან ეტაპობრივი დაახლოებისას, შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამ წელიწადში ქვეყნას უნდა მიეღო ეროვნული კანონმდებლობა და განესაზღვრა კომპეტენტური ორგანოები, ხოლო ხუთი წლის ვადაში ოპერატორებს უნდა შეემუშავებინათ ნარჩენები მართვის სქემები, და ა.შ. 2018 წლის სამთავრობო ანგარიშში ვკითხულობთ რომ მომზადებულია „წიაღისეული ნარჩენების მართვის შესახებ“ კანონის პროექტის სამუშაო ვერსია, თუმცა რა ბედი ეწია ამ დოკუმენტს გაურკვეველია. მომდევნო წლის პროგრამაში [მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების საკითხი](#) ერთი წინადადებით არის ნახსენები – კვლავ ხაზგასმულია კანონმდებლობის შემუშავების საჭიროება.

ქიმიური ნივთიერებების მართვა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2008 წლის 17 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 689/2008 სახიფათო ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის შესახებ რეგულაციის შესაბამისად, 2016 წლის 13 ივნისს დაამტკიცა „ცალკეული სამიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის

პროცედურის შესახებ“ კანონი. 2020 წლის 27 ნოემბერს, #703 დადგენილებით, კანონში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები და აისახა როტერდამის კონვენციის მთელი რიგი მოთხოვნები.

ამავდროულად, 2019-2020 წლებში მიმდინარეობდა მუშაობა „ქიმიური ნივთიერებების და ნარევის შესახებ“ კანონპროექტზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპულ კანონმდებლობასთან. აგრეთვე, დაწყებულია მუშაობა სახიფათო ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შექმნასა და წარმოებაზე, გერმანიისა და ჩეხეთის მთავრობების დახმარებით.

პრიორიტეტი 6

მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების რატიფიცირებისა და იმპლემენტაციის განრიგის გაწერა, რომელშიც შედის ევროპისთვის გაეროს ეკონომიკური კომისიის (UNECE) ეგიდით მიღებული ტრანსსასაზღვრო წყლებისა და საერთაშორისო ტბების გამოყენებისა და დაცვის შესახებ 51 კონვენცია, აგრეთვე ინდუსტრიული შემთხვევების ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ კონვენცია. ესპოს კონვენციისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ მისი ოქმის მხარედ გახდომისთვის აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოების წინ წაწევა.

შეფასება - არ შესრულდა

ევროპისთვის გაეროს ეკონომიკური კომისიის - UNECE-ს „ტრანსსასაზღვრო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ კონვენციასთან მიერთებას. სამინისტროს განცხადებით, ამ პროცესის განხორციელება მოსალოდნელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი მიიღებს წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონს.

UNECE-ის ესპოს კონვენციისა და მისი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროტოკოლის რატიფიცირების კვლავ არ მომხდარა. შესაბამისად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში არსებული მუხლი ტრანსსასაზღვრო გარემოსდაცვითი შეფასებასთან მიმართებაში ამოქმედებული არ არის. იგივე შეეხება ინდუსტრიული შემთხვევების ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ კონვენციას.

კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები

პრიორიტეტი 1

საქართველოში გამონახოლქვის დაბალი მაჩვენებლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მიღება;

შეფასება - არ შესრულდა

ასოცირების დღის წესრიგის თანახმად, საქართველოს უნდა დაესრულებინა და დაემტკიცებინა 2017 წელს USAID-ის დახმარებით შემუშავებული „LEDs სტრატეგია 2030“. სტრატეგიის მომზადება დასრულდა, მაგრამ დოკუმენტი არ დამტკიცებულა.

პრიორიტეტი 2

პარიზის კლიმატის შეთანხმების იმპლემენტაციის დაწყება.

ეროვნულად განსაზღვრული მხარდაჭერის (NDC) დოკუმენტის განახლებული ვერსიის შემუშავება

შეფასება - შესრულდა

პარიზის შეთანხმებით აღებული ვალდებულების ფარგლებში, 2021 წლის აპრილში საქართველომ დაამტკიცა [ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებული დოკუმენტი \(NDC\)](#).

დოკუმენტში დასახული მიზნების მისაღწევად, 2021 წლის აპრილში დამტკიცდა [კლიმატის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა](#). სტრატეგია განსაზღვრავს სათბურის აირების ემისიების შემცირების გრძელვადიან ხედვას 2030 წლისათვის, ხოლო სამოქმედო გეგმა 2021-2023 წლებში დაგეგმილ კონკრეტულ აქტივობებს. კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის მიმართულებით კი საქართველო მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) მხარდაჭერით გეგმავს ადაპტაციის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე (NAP) მუშაობის დაწყებას.

პრიორიტეტი 3

ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი დანართების მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის აქტებთან და საერთაშორისო აქტებთან

შეფასება - ნაწილობრივ შესრულდა

2020 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, მომზადდა, მაგრამ ჯერ არ დამტკიცებულა ფტორირებული სათბურის აირების მართვის ტექნიკური რეგლამენტი. ამ რეგლამენტით უნდა მოხდეს დაახლოება ასოცირების შეთანხმებით მოთხოვნილ რეგულაცია 842/2006/EC-ზე. ამჟამად საქართველოში არ არსებობს ზუსტი მონაცემები ქვეყნის მასშტაბით არსებული ფტორირებული სათბური აირების ემისიების მოცულობის შესახებ. 2020 წელს ოზონდამმლევი ნივთიერებების მოხმარება საბაზისო მოხმარებასთან შედარებით 35%-ით შემცირდა.

მესამე გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის შესრულების 2020 წლის ანგარიშის თანახმად, მიმდინარეობს მუშაობა ოზონდამმლევი ნივთიერებების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად. 2021 წელს, საკანონმდებლო პაკეტი ოზონის შრის დამმლევი ნივთიერებების შესახებ 2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N1005/2009 რეგულაციის თანახმად, წარედგინება პარლამენტს. კანონი

დააწესებს მოთხოვნებს ოზონდამშლელი ნივთიერებების შეგროვების, აღდგენის, რეციკლირებისა და განადგურების კუთხით.

2019 წლის შემოდგომიდან რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის ორგანიზებით დაიწყო მონრეალის ოქმის კიგალის ცვლილების [რეაქტივაციის საკითხზე](#) მომუშავე სამუშაო ჯგუფის შეხვედრები.

პრიორიტეტი 4

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული აქტივობების განვრცობა სექტორულ პოლიტიკასა და ღონისძიებებში და სხვადასხვა ორგანოების შესაძლებლობათა გაძლიერება აღნიშნულ სექტორებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული აქტივობის განსახორციელებლად

შეფასება - ნაწილობრივ შესრულდა

ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების წევრებისთვის რეკომენდებულია ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ სამოქმედო გეგმის (NECP) მომზადება, რაზეც მუშაობა ახლა მიმდინარეობს ქვეყანაში. სამოქმედო გეგმის მიზანი უნდა იყოს კლიმატთან და ენერგეტიკასთან დაკავშირებული გეგმების განსაზღვრა 2021 წლიდან 2030 წლამდე პერიოდისთვის, მასში უნდა განისაზღვროს ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესების, ენერგობაზრის გაძლიერების, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისა, ეკონომიკის დეკარბონიზაციისა და სხვა მიზნები და სამოქმედო გეგმები.

შემუშავებულია [კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის](#) (2017).

პრიორიტეტი 5

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოს გამჭვირვალობის მექანიზმის გაძლიერება, კერძოდ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკური აქტივობის, ზომებისა და სათბურის აირის გამოცემასთან მიმართებით ზედამხედველობისა და ანგარიშგების მტკიცე ეროვნული სისტემის მეშვეობით, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის მოდელს

შეფასება - შესრულდა

[საქართველომ მეორე განახლებული ორწლიური ანგარიში](#) (2019) წარუდგინა გაერთიანებული ერების კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოს. დოკუმენტში განხილულია საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცესები, მათ შორის სათბურის აირების ემისიების და შთანთქმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი ქვეყანაში მოქმედი ინდუსტრიებისა და წყაროების მიხედვით 2014-2015 წლებში, კლიმატის ცვლილების შერბილებასთან დაკავშირებული განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები, საქართველოში გაზომვის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) ეროვნული

სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ქმედებები და საჭიროებები. აგრეთვე მომზადდა და კონვენციის სამდივნოს წარედგინა საქართველოში სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიში (1990-2015), სადაც აისახა ემისიების ტენდენციები, განხორციელებული ღონისძიებები, საჭიროებების შეფასება და სხვ.

2021 წლის აპრილში კონვენციის სამდივნოს წარედგინა საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება. დოკუმენტში გაანალიზებულია კლიმატის ცვლილების გავლენა ქვეყნის პრაქტიკულად ყველა სექტორზე, მათ შორის, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ჯანდაცვა, ენერჯეტიკა, ასევე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე და ბუნებრივ რესურსებზე (ტყე, ბიომრავალფეროვნება, წყალი, დაცული ტერიტორიები, და სხვ).

გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მხარდაჭერით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსდაცვითი პროგრამისა (UN Environment) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეგდით, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრმა (REC Caucasus) დაიწყო პროექტი (2019-2022), რომლის მიზანია „ინტეგრირებული გამჭვირვალობის ჩარჩოს“ შექმნა საქართველოში პარიზის შეთანხმების განსახორციელებლად.

პრიორიტეტი 6

საქართველოს ნახევარ-საუკუნოვანი, გრძელვადიანი სათბურის აირის გამოცემის დაბალი ოდენობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

შეფასება - არ შესრულდა

2020 წელს რეგიონულმა გარემოსდაცვითმა ცენტრმა დაიწყო 2050 წლისთვის დაბალ ემისიანი განვითარების [სტრატეგიის მომზადება](#) ევროკავშირისა და გაეროს ადამიანის განვითარების პროგრამის დახმარებით. სტრატეგია უნდა დაეხმაროს ქვეყანას პარიზის შეთანხმების შესრულებაში, უზრუნველყოს ხანგრძლივადიანი გარემოსდაცვითი გეგმარება შემდეგ სექტორებში: ენერჯეტიკა, შენობები, მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, მიწების ათვისება და ტყე, ნარჩენები.

დასკვნის ნაცვლად

საქართველოში არსებულ გარემოს დაბინძურებასა და დეგრადაციას მკვეთრად უარყოფითი შედეგი აქვს ქვეყნის განვითარებასა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, დაჩქარდეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების შესრულება საკანონმდებლო ნაწილში, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შეეწყოს კანონმდებლობის აღსრულებას როგორც კონტროლის გაძლიერებითა და განმტკიცებით, აგრეთვე სტიმულირების პაკეტების შემოტანით, რამაც დადებითად უნდა იმოქმედოს, როგორც გარემოსდაცვითი დეგრადაციის შემცირებაზე, აგრეთვე მის ფისკალურ შედეგებზე.

ევროკავშირთან ინტეგრაციის თვალთახედვით, მნიშვნელოვანი იქნება მთავრობამ შეიმუშავოს და განახორციელოს მწვანე შეთანხმების სტრატეგია საქართველოსთვის, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის მწვანე შეთანხმების მიმართულებებთან და მიზნებთან, რათა უზრუნველყვით ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეებთან უმტკივნეულო ინტეგრაცია და საქართველოს მოქალაქეებისთვის უსაფრთხო გარემოზე უფლების რეალიზაცია.